შპს. „ბიჯი“

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა, №18
ს.კ : 01.11.05.029.179
არსებული #01(2), #02(1), #03(4), #04(4), #05(4), #06(1), #07(4) და #08(1)
შენობების სრული დემონტაჟი



შეასრულა: გ. ბენდელიანი

2024 წ.

1. სადემონტაჟო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

1.1. სადემონტაჟო ობიექტების ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა, № 18, ს/კ: 01.11.05.029.179. ტერიტორია ქანობიანია, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ნაკვეთს აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მთავარი გზა - ქერჩის ქუჩა, ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან - კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები.

1.2. სადემონტაჟო პროექტი ითვალისწინებს ნაკვეთის წითელ ხაზებში მოქცეული #01(2), #02(1), #03(4), #04(4), #05(4), #06(1), #07(4) და #08(1) შენობების სრულ დემონტაჟს, საძირკვლების ძირის ნიშნულებამდე, მთლიანი ტერიტორიის მოსუფთავებით.

1.3. არსებული მდგომარეობა: სადემონტაჟო ობიექტები აშენებულია საბჭოთა პერიოდში ანაკრეფი რკინაბეტონის კონსტრუქციებით.

1.4. ობიექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგია:

მიწის ნაკვეთის ფართი - 15818.0 მ²

შენობა #01(2)

შენობის სრული ფართი - 2266.8 მ²

შენობა #02(1)

შენობის სრული ფართი - 3172.3 მ²

შენობა #03(4)

შენობის სრული ფართი - 11084.1 მ²

შენობა #04(4)

შენობის სრული ფართი - 199.5 მ²

შენობა #05(4)

შენობის სრული ფართი - 165.6 მ²

შენობა #06(1)

შენობის სრული ფართი - 170.2 მ²

შენობა #07(4)

შენობის სრული ფართი - 106.6 მ²

შენობა #08(1)

შენობის სრული ფართი - 11.5 მ²

1.5. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით. სადემონტაჟო ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

2. დემონტაჟისა და ტერიტორიის გასუფთავების ხანგრძლივობის დადგენა

2.1. დემონტაჟის ხანგრძლივობის ვადებისა და მისი განხორციელების ცალკეული პერიოდების დასადგენად ხელმძღვანელობენ სნ. და წ. 1.04.03-83 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები და მარაგნაკეთი“, აღნიშნული ნორმების გათვალისწიენბით, ასევე სადემონტაჟო შენობების არასაექსპლუარაციო მონაცემების გათვალისწინებით დემონტაჟის ხანგრძლივობა განისაზღვრა 18 თვის ხანგრძლივობით.

2.2. კალენდარულ გეგმაზე ობიექტის დემონტაჟის შემოთავაზებული თანმიმდევრობა რეკომენდირებული ხასიათისაა. მისი კორექტირება შესაძლებელია სამუშაოთა წარმართვის პროცესში დამკვეთის ინტერესების გათვალისწინებით და დემონტაჟის პროცესში აღმოჩენილი შესაძლებლობებით.

2.3. ობიექტის დემონტაჟის გეგმიურ ვადებში დასრულება სავსებით შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს მშენებლობის რაიონის რბილმა კლიმატურმა პირობებმაც, აგრეთვე სამშენებლო ორგანიზაციის მძლავრმა საწარმოო მექანიზებულმა ბაზამ.

3. დემონტაჟისა და ტერიტორიის გასუფთავების განხორციელების ტექნოლოგიური ნორმალი

3.1. კალენდარული გეგმით გათვალისწინებული ფინანსური უზრუნველყოფისა და შესაძლებლობების საფუძველზე უნდა მოხდეს სამუშაოთა თანმიმდევრობის განსაზღვრა.

3.2. დემონტაჟის განხორციელების გეგემიური ხანგრძლივობა 18 თვეა, სამუშაოები უნდა წარიმართოს კალენდარული გეგმის მიხედვით (იხ. მოპ-2) დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ერთი მხრიდან, მიმდევრობითი მეთოდით, ზემოდან ქვევით.

3.3 ბოლო 3 თვეში განხორციელდება დემონტირებული მასალის საბოლოო გატანა სადემონტაჟო მოედნიდან, მთლიანი ტერიტორიის გასუფთავება და მომზადება ახალი მშენებლობისათვის.

4. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მშენებლობის წარმართვის ცალკეული ეტაპები

4.1 ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

4.2 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება პროექტირებაზე;
- არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური და ორთო გეგმა;
- საკადასტრო გეგმა;
- აზომვითი ნახაზები;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება;
- სადემონტაჟო შენობების პროექტი.

4.3. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

4.4 მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სადემონტაჟო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ

პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით და ფლობელობაში არსებული მექანიზაციის ბაზის გათვალისწინებით.

4.5. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ. ,,თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური''-დან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

1. დროებითი შენობების დაყენება უსაფრთხო ადგილზე- დროებით სათავსებად (მუშების გარდერობი, საპრარაბო, ..) უნდა მოეწყოს მცირე ზომის დროებითი შენობები, ან ამისათვის სამშენებლო ფირმამ უნდა უზრუნველყოს დროებითი ე.წ. ,,ვაგონეტკა'' საცხოვრებლების შემოტანა-დადგმა. აუცილებელია მოეწყოს წითელი ხაზების ფარგლებში, სხვა შემთხვევაში მფლობელისათვის საჭირო გახდება ქალაქის ქონების მართვის სამსახურიდან მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის დროებით შესყიდვა ან იჯარით აღება.

2. ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს დროებითი ღობის მოწყობა-ხის, ლითონის ფურცლების, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით, სურვილის შემთხვევაში შეღებილი, ზედ საინფორმაციო ბანერით. საჭიროების შემთხვევაში ტროტუარის დამცავი გადახურვით, დგარების ჩაბეტონებით გრუნტში ან და მობილურ გადასატან კონსტრუქციებში. სასურველია კონკრეტულ სადემონტაჟო შენობებს დემონტაჟის დროს ჩამოეფაროს ფარდა-ბადე სპეციალურად მოწყობილ ხარაჩოზე, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა მიმდებარე ზონაში.

3. ვინაიდან სადემონტაჟო ობიექტი განაშენიანებულ ტერიტორიაზე მდებარეობს, ამიტომ უნდა მოეწყოს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები, ასევე ღამის პერიოდში განათება. მაქსიმალურად უნდა იყოს

ეზოს მიმდებარედ სამუშაოებში დაუსაქმებელი პირების უსაფრთხოება გათვალისწინებული.

4. თუ ობიექტის მიმდებარედ არის ხე-მცენარეები, სასურველია სამუშაოების დაწყებამდე ხე მაქ. 2მ. სიმაღლეზე შეიფუთოს დამცავი ხის ფენილით (დაზიანების თავიდან აცილების მიზნით).

5. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

4.6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დემონტაჟის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

4.7. დემონტაჟი უნდა განხორციელდეს საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.

5. მითითებები სადემონტაჟო-გასასუფთავებელ სამუშაოებზე.

5.1. დემონტაჟის ნებართვების აღების შემდეგ დაიწყება დემონტაჟის სამუშაოების წარმოება (უსაფრთხოების წესების სრული დაცვით თანახმად საქართველოში მოქმედი "მშენებლობის უსაფრთხოების წესები" (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014 №361 დაგენილებით;)" და „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.)

5.2. განთავსდება სადემონტაჟო საინფორმაციო ბანერი, ჩაიჭრება შენობის არსებული საინჟინრო ქსელების სხვა მიმდებარე ქსელებთან მიერთებები, ამასთან გაწმენდითი სამუშაოების პარალელურად ყველა სამუშაო უნდა დაინამოს მტვრის თავიდან აცილების მიზნით. დროებით სათავსებად (მუშების გარდერობი, საპრარაბო) მოეწყობა დროებითი თავშესაფარი მიმდებარე ტერიტორიაზე წითელი ხაზების ფარგლებში შიდა ეზოში.

5.3. სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით და სათანადო კომისიის დასწრებით. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება (ხის დროებითი დამჭერი კოჭებით და შეფიცვრებით), მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით, (სიმაღლეებზე მუშების მოძრაობა-მუშაობის შემთხვევაში თითოეული მუშა უნდა იყოს დაბმული სპეც. დამჭერი თოკებით ვარდნის თავიდან აცილების მიზნით) ასევე ყველა ადამიანს უნდა აეკრძალოს კონსტრუქციების დემონტაჟის დროს მის ქვეშ ყოფნა ან გავლა); ნაგვის გატანა სპეციალური ავტოამწეების და ავტოთვითმცელების საშუალებით. აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ნაგვის ტრანსპორტირების სვლა- გეზი უნდა შეთანხმდეს ქალაქის საგზაო პატრულთან. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში.

5.4. მოსამზადებელი სამუშაოების (ზემოთ ჩამოთვლილი) შესრულების შემდეგ დემონტაჟი მოხდება შემდეგი თანმიმდევრობით შენობის ერთი მხრიდან:

5.4.1. დემონტაჟის პროცესი უნდა დაიწყოს ნუმერაციის მიმხედვით, თავდაპირველად 01/1 შენობიდან:

კერძოდ თავდაპირველად უნდა განხორციელდეს ყველა საინჟინრო ქსელის ჩაჭრა-მოხსნა, პარალელურად უნდა განხორციელდეს შიდა ზედაპირების მოპირკეთებების მოხსნა (კედლების, იატაკის, ჭერების ფენილები) შემდეგ სახურავის ფენილის დემონტაჟი წყალგადამყვან სისტემასთან ერთად, შემდეგ დაიწყოს ზევიდან ქვევით ტიხრების დემონტაჟი, გარე კედლების დემონტაჟი. უნდა გაშიშვლდეს მთლიანად შენობის კარკასი. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს ანაკრები გადახურვის ფილების დემონტაჟი ერთი მხრიდან მიმდევრობით, მონოლითური რკინაბეტონის ანაკრები ფილები დემონტირდება ამწე მექანიზმების გამოყენებით. ამწე მექანიზმებით უნდა მოხდეს თითოეული ანაკრები კონსტრუქციის დაჭერა სპეციალური ე.წ. ტროსებით ან თოკებით და შემდეგ უნდა ჩაიჭრას გადაბმებში ანაკრები კონსტრუქცია, მოხსნილი კონსტრუქცია ისევ ამწის გამოყენებით უნდა დაწყობილ იქნას მიმდებარე ტერიტორიაზე ან მანქანა მექანიზმებზე. ანაკრები კონსტრუქციების მოხსნის პერიოდში მათ ქვეშ მუშა-მოსამსახურეთა მოძრაობა სასტიკად

აკრძალულია.
გადახურვის ფილების დემონტაჟის შემდეგ დემონტირდება კარკასი, შემდეგ საძირკვლები, ანაკრები საძირკვლების შემთხვევაში დემონტაჟი განხორციელდება ზემოაღწერილი მეთოდით, მონოლითური კონსტრუქციების შემთხვევაში ფრაგმენტულად დაიბურღება ხელის საბურღი მექანიზმით ნაწილ-ნაწილ ფრაგმენტებად უნდადაიბურღოს მონოლითური კონსტრუქცია,
არმირების გაშიშვლების შემდეგ მაქს. 3 მ^2 ფართის არმირება უნდა დაჭერილ იქნას ამწეზე გამობმით, შემდეგ გამობმულ დაჭერილი სექციის ხელის მექანიზმებით ჩაჭრა უნდა განხორციელდეს, ჩაჭრილ-მოხსნილი სექცია უნდა განთავსდეს ავტოთვითმცლელზე და გატანილ იქნას ტერიტორიიდან. ასე უნდა განხორციელდეს მიმდევრობით შემდეგი სექციებიც. შენობის დემონტაჟი უნდა განხორციელდეს შენობის ქვეშ მიწის ნიშნულამდე.

დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ინჟინერ-სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ.

კატეგორიულად უნდა აიკრძალოს მუშა-მოსამსახურეთა მოძრაობა სადემონტაჟო კონსტრუქციების ქვეშ.

5.5. სამშენებლო ნაგვის გატანა მოხდება ავტოთვითმცლელებით.

5.6. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III-15- 80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

6. რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუქმენტები

6.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში:

№	დასახელება	მარკა	რაოდენობა ცალი
1	2	3	4
1.	თვითმცლელი, ძარიანი სპეც.ტრანსპორტი სამშენებლო ნაგვის ტერიტორიიდან გასაზიდად	სხვადასხვა	2
2	ექსკავატორი საჭრელი სანგრევი ჩაქუჩებით აღჭურვილი	სხვადასხვა	1
3	ექსკავატორი დემონტირებული მასალის გადასაადგილებლად	სხვადასხვა	1
4	საავტომობილო თანამედროვე ავტოამწე	სხვადასხვა	1
5	ხელის სანგრევი ჩაქუჩები	ცალი	5
6	ლითონის ელექტრომჭრელები (“ბარგალკები” “პერფორატორები”)	კომპლექტი	2
7	ე.წ. „ბობკატი“	ცალი	2
8	სადემონტაჟო ინსტრუქმენტები	კომპლექტი	10
9	პნევმატური ინსტრუმენტი: საჭრელი, საბურღი და ა. შ.	კომპლექტი	2
10	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუქმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპლექტი	8

6.2. რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

7. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად საქართველოში მოქმედი "მშენებლობის უსაფრთხოების წესები" (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014წ. №361 დაგენილებით;)" და „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

7.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

7.2. ზედმეტი ნაგვის და გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

7.3. მოხსნილი ღირებული დეტალების, კონსტრუქციების და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

7.4. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

7.5. სადემონტაჟო მოწყობილებათა ჩართვა (საწევლები, სხვადასხვა ელექტრო აპარატები და სხვა) მიმდებარე ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

7.6. ელექტროსაწევლას და სხვა მანქანა მექანიზმების მუშაობის პეროდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია. მექანიზმების მუშაობის დროს მოშორებით დგება მესიგნალე და აწესრიგებს როგორც ფეხმავალთა, ასევე ავტოტრანსპორტის მოძრაობას.

7.7. სამუშაოთა უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით.

8. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

8.1. დემონტაჟის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.

8.2. დემონტაჟის სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებულ ზონაში.

8.3. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

8.4. გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

8.5. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

9. მოპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა

9.1. სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია".

9.2. სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე".

9.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სახრეთის მთიანი რაიონებისათვის .

9.4. კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მომქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან", ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი ქართულ ენაზე.

9.5. სნ და წ III- 4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე".

ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ

№	ობიექტისა და სამუშაოების დასახელება	დემონტაჟის ეტაპის ხანგრძლივობა (კვირა)	თვეებისა და კვირების რაოდენობა დემონტაჟის წარმოების მიხედვით																	
			I თვე	II თვე	III თვე	IV თვე	V თვე	VI თვე	VII თვე	VIII თვე	IX თვე	X თვე	XI თვე	XII თვე	XIII თვე	XIV თვე	XV თვე	XVI თვე	XVII თვე	XVIII თვე
			I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა	I კვირა, II კვირა, III კვირა, IV კვირა
1	მოსამზადებელი სამუშაოები-მობილიზაცია, ქსელების ჩაჭრა-გადალაგება, მისასვლელების გადაკეტვა; შეზუდვების გაკეთება, ფარდების ჩამოფარება და ა.შ.	12																		
2	ყველა არსებული შენობა-ნაგებობის (8 ერთეული) სრული დემონტაჟი და დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე	56																		
3	დემონტირებული მასალისა და ნაგვის (მეორადის არსებობის შემთხვევაში) გატანა ობიექტიდან	32																		
4	მთლიანი ტერიტორიის მოსუფთავება	8																		

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:

1. ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲓᲐᲜ.
2. ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚ ᲗᲕᲔᲨᲘ 25 ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔ, 2-ᲗᲕᲔᲨᲘ 50 ᲓᲦᲔ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲗ, ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲓᲐᲐ ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲚᲘ.
3. ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲛᲐᲗ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲛᲝᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲔᲑᲘ ᲨᲔᲧᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ.
4. ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲪᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ, ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝ, ᲮᲐᲠᲫᲐᲠ-ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲗ.
5. ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲮᲐᲜᲒᲠᲫᲚᲘᲕᲝᲑᲐ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ 18 ᲗᲕᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲗ.



ᲜᲐᲮᲐᲖᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ:

ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘ

ᲔᲥᲡᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ:

ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ:

ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ

ᲭᲠᲘᲚᲘᲡ ᲮᲐᲖᲘ

ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲣᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲥᲣᲩᲐ ᲥᲔᲠᲩᲘᲡ, №18

ᲡᲐᲙ. ᲙᲝᲓᲘ: 01.11.05.029.179

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

ᲡᲢᲐᲓᲘᲐ	ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ	
ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	
ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ	ᲒᲕᲐᲠᲘ	ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ	Გ.ᲑᲔᲜᲓᲔᲚᲘᲐᲜᲘ	
ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ	Ი.ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐ	
ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘ	Ს. ᲡᲐᲖᲔᲠᲚᲔᲜᲓᲘ	

ᲡᲐᲞᲠᲝᲔᲥᲢᲝ ᲚᲝᲒᲝ	ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
BIJI ARCHITECTURE BIJI ARCHITECTURE	Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲨᲐᲕᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ №1Ა TEL: 595 55-35-74 599 75-28-88

ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘ		
ᲗᲐᲠᲘᲦᲘ	2024 Წ.	
ᲡᲢᲐᲓᲘᲐ	ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ
ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ	A-2	A.27



1. მთავარი გზა
2. ნაკვეთზე შემოსასვლელი
3. სადემონტაჟო შენობა
4. დაცვის ოთახი
5. სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
6. ინვენტარის შესანახი ოთახი
7. მასალების დროებითი ღია საწყობი
8. ბიო ტუალეტი
9. საჭიროებისამებრ, სატვირთო ავტომობილის, თვითმცლელის და სხვათა დგომის ადგილი
10. დროებითი ღობე

ნახაზის დასახელება:

მშენებლობის ორგანიზაციის სქემა, გენგეგმა

ექსპლიკაცია:

პირობითი ნიშნები:

- ნაკვეთის საზღვარი
- ჭრილის ხაზი
- კონსტრუქციული ნიშნული
- არქიტექტურული ნიშნული

შენიშვნები

მისამართი

ქალაქი თბილისი, ქუჩა ქერჩის, №18

საკ. კოდი: 01.11.05.029.179

პროექტის სახელწოდება

ფაბრიკის დემონტაჟის პროექტი

სტადია	პროექტი	
ფურცელი	ფურცელი	
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	გ.გენდელიანი	
არქიტექტორი	ი.გოგოხია	
არქიტექტორი	ს. საზერლენდი	

საპროექტო ლოგო	მისამართი
BIJI ARCHITECTURE	ქ. თბილისი შავიშვილის ქუჩა №1ა TEL: 595 55-35-74 599 75-28-88

მასშტაბი	1:500	
თარიღი	2024 წ.	
სტადია	ფურცელი	ფურცლები
პროექტი	A-2	A.28

შპს ვანდმაუერ
საქართველო, ქ.თბილისი
ტელ: +995 574 70 04 04
info@wandmauer.ge
www.wandmauer.ge

WandMauer Ltd
Georgia, Tbilisi
Phone: +995 574 70 04 04
info@wandmauer.ge
www.wandmauer.ge



დემონტაჟის ექსპერტიზის დასკვნა

შპს ვანდმაუერ

დემონტაჟის პროექტის ექსპერტიზა

ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №18-ში (ს/კ 01.11.05.029.179) არსებულ მიწის ნაკვეთზე
სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პროექტის ექსპერტიზა

საქართველო, თბილისი 2024

შინაარსი

ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №18-ში (ს/კ 01.11.05.029.179) არსებულ მიწის ნაკვეთზე საპროექტო დოკუმენტაციას, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობების 01/2, 02/1, 03/4, 04/4, 05/4, 06/1, 07/4 და 08/1 სადემონტაჟო პროექტს. პროექტის მიხედვით დაგეგმარებულია შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

საექსპერტო კვლევის მიზანი

შენობა-ნაგებობის დემონტაჟის პერიოდში, მომუშავეთა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების უსაფრთხოება, აგრეთვე ბუნების დაცვითი და ატმოსფერული დაბინძურების საწინააღმდეგო სამუშაოების დაცვა.

აღწერა

სადემონტაჟო პროექტში განხილული პარამეტრები 01/2:

1. შენობა მართკუთხა ფორმისაა;
2. კონსტრუქციული ტიპი - ანაკრები;
3. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის განსახორციელებელი სნწ;
4. შენობის დახასიათება;
5. დემონტაჟის გრაფიკი;
6. მანქანა-მექანიზმების აღწერა;
7. უსაფრთხოების დაცვა;
8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია.

სადემონტაჟო პროექტში განხილული პარამეტრები 02/1:

1. შენობა მრავალკუთხა ფორმისაა;
2. კონსტრუქციული ტიპი - ანაკრები;
3. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის განსახორციელებელი სნწ;
4. შენობის დახასიათება;
5. დემონტაჟის გრაფიკი;
6. მანქანა-მექანიზმების აღწერა;
7. უსაფრთხოების დაცვა;
8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია.

სადემონტაჟო პროექტში განხილული პარამეტრები 03/4:

1. შენობა მართკუთხა ფორმისაა;
2. კონსტრუქციული ტიპი - ანაკრები;
3. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის განსახორციელებელი სნწ;
4. შენობის დახასიათება;
5. დემონტაჟის გრაფიკი;
6. მანქანა-მექანიზმების აღწერა;
7. უსაფრთხოების დაცვა;

8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია.

სადემონტაჟო პროექტში განხილული პარამეტრები 04/4:

1. შენობა მართკუთხა ფორმისაა;
2. კონსტრუქციული ტიპი - ანაკრები;
3. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის განსახორციელებელი სნწ;
4. შენობის დახასიათება;
5. დემონტაჟის გრაფიკი;
6. მანქანა-მექანიზმების აღწერა;
7. უსაფრთხოების დაცვა;
8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია.

სადემონტაჟო პროექტში განხილული პარამეტრები 05/4:

1. შენობა მართკუთხა ფორმისაა;
2. კონსტრუქციული ტიპი - ანაკრები;
3. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის განსახორციელებელი სნწ;
4. შენობის დახასიათება;
5. დემონტაჟის გრაფიკი;
6. მანქანა-მექანიზმების აღწერა;
7. უსაფრთხოების დაცვა;
8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია.

სადემონტაჟო პროექტში განხილული პარამეტრები 06/1:

1. შენობა მართკუთხა ფორმისაა;
2. კონსტრუქციული ტიპი - ანაკრები;
3. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის განსახორციელებელი სნწ;
4. შენობის დახასიათება;
5. დემონტაჟის გრაფიკი;
6. მანქანა-მექანიზმების აღწერა;
7. უსაფრთხოების დაცვა;
8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია.

სადემონტაჟო პროექტში განხილული პარამეტრები 07/4:

1. შენობა მართკუთხა ფორმისაა;
2. კონსტრუქციული ტიპი - ანაკრები;
3. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის განსახორციელებელი სნწ;
4. შენობის დახასიათება;
5. დემონტაჟის გრაფიკი;
6. მანქანა-მექანიზმების აღწერა;
7. უსაფრთხოების დაცვა;
8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია.

სადემონტაჟო პროექტში განხილული პარამეტრები 08/1:

1. შენობა მართკუთხა ფორმისაა;
2. კონსტრუქციული ტიპი - ანაკრები;
3. სადემონტაჟო შენობა-ნაგებობის განსახორციელებელი სნწ;
4. შენობის დახასიათება;
5. დემონტაჟის გრაფიკი;
6. მანქანა-მექანიზმების აღწერა;
7. უსაფრთხოების დაცვა;
8. ბუნების დაცვა და ეკოლოგია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. СП 325.1325800.2017 - "Правила производства работ при демонтаже и утилизации";
2. СНиП -4-80 ,,Техника безопасности на строительстве'' М., 1981;
3. პნ 01.01-09 სეისმომედეგი მშენებლობა;
4. პნ 03.01-09 ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები;
5. კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები“, ამონაწერი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან, თბ. 1987;
6. Справочник инженера строителя, М., 1989.

დასკვნითი ნაწილი

სადემონტაჟო ტექნიკურ დავალებაში დასმული საკითხის შესაბამისად ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა №18-ში (ს/კ 01.11.05.029.179) დემონტაჟის პროექტის, ნახაზების და ფოტომასალის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ზემოთ ხსენებულ მისამართზე შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მომუშავეთა და მომიჯნავე შენობების უსაფრთხოების, ბუნებისა და ეკოლოგიის დაცვის ნორმები. ეს ყოველივე არის სავსებით დამაკმაყოფილებელი და დღეისათვის მოქმედ სამშენებლო ნორმებთან და წესებთან მიმართებაში. შესაბამისად სადემონტაჟო პროექტს ენიჭება დადებითი შეფასება.

ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა და კვლევა ჩამოყალიბებულია 12- ნაბეჭდ გვერდზე წინსაწარი შეცნობით, ყალბი დასკვნის გაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვართ ს.ს.კ 370-ე მუხლით.

სადემონტაჟო პროექტის საექსპერტო დასკვნა მოამზადა შპს ვანდმაუერ-ის მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტებმა:

შპს ვანდმაუერ-ის დირექტორი: /ნ.შარაშენიძე/

შპს "ვანდმაუერ" * WANDMAUER * GEORGIA. "WANDMAUER" LTD 400132370

ნიკალაი შარაშენიძე



დაბადების თარიღი: 13.01.1991
მისამართი: საქართველო, თბილისი
საკონტაქტო ნომერი: +995 574 700404
ელ. ფოსტა: nk.sharashenidze@gmail.com
info@wandmauer.ge

განათლება:

2007 - 2009	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;** ინფორმატიკა და მართვის სისტემები
2011 - 2015	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;** ბაკალავრის ხარისხი მშენებლობაში; სპეციალობა: სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა; შენობა-ნაგებობების ტექნიკური ექსპერტიზა
2018 - 2020	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;** მაგისტრის ხარისხი მშენებლობაში; სპეციალობა: შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია
2021 - დღემდე	**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;** დოქტორანტურის ხარისხი მშენებლობაში პროგრამა: მშენებლობა

გამოქვეყნება:

2020	მეთოდური მითითებები რკინაბეტონის კარკასული შენობის გასაანგარიშებლად სეისმურ ზემოქმედებაზე ერთმასიანი რხევა დი სისტემის საანგარიშო მოდელით

სამუშაო გამოცდილება:

2007 - 2010	შპს **Computer Land;** ლიფტების აღდგენის ინსპექტორი
2010 - 2011	შპს **Computer Land;** ტექნიკური დირექტორი
07 - 08.2011	შპს **ZERRINGER-GEORGIA** (კანადა-საქართველო); გარე ეკონომიკური საქმიანობის მენეჯერი
07.2013	**ZERRINGER International Inc.** (კანადა), სავაჭრო ნიშანი **ZERRINGER™** ვენტილირებადი ფასადები; სტაჟირება კიევში (უკრაინა) საინჟინრო დეპარტამენტის რეგიონალურ ოფისში, სერთიფიკატი

08.2013	**ZERRINGER International Inc.** (კანადა), სავაჭრო ნიშანი **ZERRINGER™** ვენტილირებადი ფასადები; სტუდენტური სტაჟირება სამშენებლო მოედნებზე (კანადა), სერთიფიკატი
06 - 08.2014	**ZERRINGER International Inc.** (კანადა), სავაჭრო ნიშანი **ZERRINGER™** ვენტილირებადი ფასადები; სტაჟირება კიევში (უკრაინა) საინჟინრო დეპარტამენტის რეგიონალურ ოფისში, სერთიფიკატი
2011- 2015	შპს **INTELLECT-2010;** შენობა-ნაგებობების ექსპერტიზის უმცროსი სპეციალისტი, შენობა-ნაგებობების ექსპერტიზის სპეციალისტი
12.2014 - დღემდე	შპს **WANDMAUER;** მესაკუთრე, გენერალური დირექტორი
09.2018 - 01.2019	შპს **Industria;** ტექნიკური ზედამხედველობა და მშენებლობის უსაფრთხოება
01.2019 – 10.2020	შპს **Build Territory;** სამუშაოთა მწარმოებელი

ინჟინერ-კონსტრუქტორის კვლევებში ჩემი გამოცდილება 10 წელზე მეტს ითვლის.

<u>პროფესიული უნარები:</u>

- კარგი ცოდნა **Autodesk AUTOCAD**
- კარგი ცოდნა **LIRA SAPR**
- კარგი ცოდნა საინჟინრო კონსტრუქციებში
- კარგი ცოდნა შენობა-ნაგებობების ექსპერტიზაში
- ბიუჯეტისა და რესურსების განაწილების კარგი უნარები
- კარგი ცოდნა **Microsoft Office (Word, Excel, Power Point)**
- საშუალო ცოდნა **Microsoft Office (Project)**
- მართვის მოწმობა **(B კატეგორია)**

<u>პიროვნული თვისებები:</u>

- პრობლემების გადაჭრის კარგი ანალიტიკური უნარი
- კომუნიკაბელურობა
- ხელმძღვანელობის თვისებები
- დროის კარგად განაწილების უნარი
- კვლევა და ინფორმაციის მოძიება
- გუნდური მუშაობა
- დეტალებზე ორიენტირება

<u>ენა:</u> ქართული - მშობლიური, რუსული - თავისუფლად, ინგლისური - კარგად

<u>ინტერესი:</u> ინჟინერიის და სამშენებლო პროგრამირების შესწავლა; აირსოფტი; სპორტი

<u>რეკომენდაცია:</u> წარდგენა შესაძლებელია მოთხოვნის შემთხვევაში

Nikalai Sharashenidze



Date of birth: 13.01.1991
Address: Tbilisi, Georgia
Contact number: +995 574 700404
E-mail: nk.sharashenidze@gmail.com
info@wandmauer.ge

Education:

2007-2009	**Georgian Technical University;** Faculty of Informatics and Managing systems
2011-2015	**Georgian Technical University;** Bachelor Degree in Civil Engineering; Specialty: Building maintenance expertise (B.Eng.)
2018-2020	**Georgian Technical University;** Master Degree in Civil Engineering; Specialty: Technology of building construction (M.Eng)
2021 – till date	**Georgian Technical University;** Phrofessor degree in Civil Engineering; Program: Civil Engineering

Publications:

2020	Methodical instructions for reinforced concrete frame building to calculate the seismic impact with the structural model of a single-mass oscillating system

Work experience:

2007-2010	Company **Computer Land**; Inspector of recovery and elevators
2010-2011	Company **Computer Land;** Managing director
07-08.2011	Company **ZERRINGER-GEORGIA** in Batumi (Canada-Georgia); Foreign economic relationship manager
07.2013	Construction Company **ZERRINGER International Inc.** (Canada); Internship in Kyiv (Ukraine) Engineering Department regional office, Certificate

08.2013	Construction Company **ZERRINGER International Inc.** (Canada); Intern student in Construction projects tour in Canada, Certificate
06-08.2014	Internship in Kyiv (Ukraine) Engineering Department regional office, Construction Company **ZERRINGER International Inc.** (Canada); Certificate
2011-2015	Company **INTELLECT-2010;** Junior specialist in Building maintenance expertise
12.2014-till date	Company **WANDMAUER;** Owner, General director
09.2018-01.2019	Company **Industria;** Technical supervision and construction safety
01.2019-10.2020	Company **Build Territory;** Construction Foreman

Professional skills:

- Expertise in **AUTOCAD** designing tools
- Good knowledge in **LIRA SAPR** software for analysis and design of building and mechanical engineering structures of different purposes
- Good knowledge in drawing models and technical guidelines of construction engineering
- Good knowledge in construction engineering concepts
- Good skills in building maintenance expertise
- Good skills in preparing work scope, budget and resource allocation plan
- Advanced user of **Microsoft Office**
- Driver license (B category)

Personality Traits:

- Excellent analytical and problem solving skills
- Strong communication skills
- Self-motivated with leadership traits
- Excellent time management skill
- Ability to perform surveys and research
- Team player
- Attention to details

Languages: Georgian – native; Russian – fluent; English - Pre-advanced

Interests: Studying of engineering and construction software; Airsoft; Sport

References: Available on request

საქართველო
Georgia

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
Georgian Technical University

ბაკალავრის დიპლომი
Bachelor's Diploma

BD № 002463

სამშენებლო ფაკულტეტის 2016 წლის 28 მარტის № 16/16 გადაწყვეტილებით
ნიკალაი შარაშენიძეს მიენიჭა ინჟინრის
ბაკალავრის აკადემიური ხარისხი
მშენებლობაში

*By the decision № **16/16** **March 28, 2016** of the Faculty of*
Civil Engineering

Mr. Nikalai Sharashenidze *was awarded the Degree of Bachelor of*
Engineering
in Construction

სარეგისტრაციო
Registration № 02392

დეკანი
Dean

მ/მ დავით გურგენიძე
Act.Dean David Gurgenidze

თბილისი
Tbilisi

07 რიცხვი/*Day* 07 თვე/*Month* 2016 წელი/*Year*

რექტორი
Rector

არჩილ ფრანგიშვილი
Archil Prangishvili

ბ.ა
Seal

ZERRINGER® TECHNOLOGICALLY CANADIAN

ZERRINGER INTERNATIONAL INC.

presents this

CERTIFICATE

to

SHARASHENIDZE NIKALAI

for the successful completion of one month of

STUDENT INTERN TRAINING PROGRAM

held at Engineering Department of regional office in KIEV, UKRAINE

Chief Executive Officer **DAVID L. BOLTON**

2013 July

ZERRINGER® TECHNOLOGICALLY CANADIAN

ZERRINGER INTERNATIONAL INC.

presents this

CERTIFICATE

to

SHARASHENIDZE NIKALAI

for the successful completion of 3 (three) month (July, August, September) of

STUDENT INTERN TRAINING PROGRAM

held at Engineering Department of regional office in KIEV, UKRAINE.

ZERRINGER INTERNATIONAL INC. 619535-1 CANADA

Chief Executive Officer **DAVID L. BOLTON**

2014

საქართველო
Georgia
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
Legal Entity of Public Law

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Georgian Technical University

WITH HONOURS

მაგისტრის დიპლომი

Master's Diploma

MD № 004018

სამშენებლო ფაკულტეტის
2020 წლის 30 ივლისის № 2 გადაწყვეტილებით

ნიკალაი შარაშენიძეს

მიენიჭა ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური სარისხი
მშენებლობაში მშენებლობის ტექნოლოგიის სპეციალიზაციით

By the decision № 2 July 30, 2020 of the Faculty of Civil Engineering

Mr. Nikalai Sharashenidze

was awarded the Degree of Master of Engineering in Construction Specializing in Construction Technology

სარეგისტრაციო Registration № 04107

თბილისი Tbilisi 11 რიცხვი/Day 02 თვე/Month 2021 წელი/Year

დეკანი Dean ზურაბ გვიშიანი Zurab Gvishiani

რექტორი Rector დავით გურგენიძე David Gurgenidze

Seal

ZERRINGER® TECHNOLOGICALLY CANADIAN

ZERRINGER INTERNATIONAL INC.

presents this

CERTIFICATE

to

SHARASHENIDZE NIKALAI

for the successful completion of one week of

STUDENT INTERN TRAINING PROGRAM

held at of head office in Toronto, Canada

ZERRINGER INTERNATIONAL INC. 619535-1 CANADA

Chief Executive Officer **DAVID L. BOLTON**

August, 2013